5 ოქტომბერი მასწავლებლის საერთაშორისო დღეა!

ბორჯომი

6 ოქტომბერი
ხუთშაბათი
2022 წელი
№41 (9251)
ფასი 40 თეთრი

ბორჯომის რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

„ქართული ოცნების“ ათი წელი

10 წლის წინ, 2012 წლის 1 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, **„ქართული ოცნება“ ხელისუფლების სათავეში მოვიდა.** „ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიანი მმართველობა ჩამოიქცა და დაიმსხვრა. ეს მოხდა ქართველი ხალხის (ამომრჩევლების) ნების წყალობით, მაგრამ რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებული, ქართველთაგან ყველაზე წარმატებული ბიზნესმენის, მილიარდელი (მაშინ 7 მილიარდი „აღერიცხებოდა“) **ბიძინა ივანიშვილის** ხელმძღვანელობით.

ჩვენ გაზეთის მკითხველებს კარგად ახსოვთ როგორც წინასაარჩევნო მომზადების, ასევე არჩევნებისდროინდელი და არჩევნების შემდგომი დღეების ეიფორია და პერპეტიები. არჩევნების წინ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამომრჩევლები ზარ-ზეიმით ხვდებოდნენ ბიძინა ივანიშვილს. ყველგან სპეციალური სცენა იდგმებოდა, საიდანაც ბატონი ბიძინა ხალხს მიმართავდა. ხშირად ხალხშიც გამოდიოდა და ყველას ღიმილით ართმევდა ხელს.

ყველა ხვდებოდა, რომ არჩევნებში რაღაც ახალი მოხდებოდა. პრეზიდენტი სააკაშვილი, მისი პარტია და მთავრობა ამ ყველაფერს სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა. არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე საქართველოში მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც არჩევნების შედეგზე დიდი გავლენა მოახდინა: ბორჯომელმა ჟურნალისტმა **ირმა ინაშვილმა** და მისმა გუნდმა მედიაში გამოამზეურა და სააშკარაოზე გამოიტანა პატიმრების წამების რიგი ფაქტები. ამის გამოც, როგორც ჩანს, ვაშინგტონმა „ხელი დაუქნია“ სააკაშვილს (პრეზიდენტობიდან უნდა წასულიყო), თუმცა მას ადრე „დემოკრატიის შუქურას“ უწოდებდა. არჩევნები მშვიდობიანად რომ ჩატარებულიყო, პრევენციული ზომები მიიღეს: არჩევნების დღეს საქართველოში ორი კონგრესმენი იმყოფებოდა. ალბათ დაზვერვამ შეატყობინა, რომ ემოციური და დიქტატორული მიდრეკილების პრეზიდენტი არჩევნების გაყალბებას და ძალის გამოყენებასაც აპირებდა (გავიხსენოთ ხაშურის ინციდენტი, სადაც პოლიციამ იარაღი ბორჯომიდანაც წაიღო!). არჩევნების დღეს კონგრესმენები სააკაშვილის კაბინეტიდან არ გამოსულან და მუდმივად არწმუნებდნენ მას, რომ ძალა არ გამოეყენებინა. სხვა გზა არ იყო, სააკაშვილმა დაიოკა ამბიციები და დაემორჩილა მათ მითითებებს.

ამრიგად, 1 ოქტომბერს გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“. იმის შემდეგ კიდევ მრავალ არჩევნებში გაიმარჯვა და აგერ, 10 წელია ასე მოვდივართ.

ბუნებრივია, ყველას აინტერესებს, ამ ათ წელში „ოცნების“ ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში **რა გაკეთდა კარგი**

და რა გაკეთდა ცუდი. ეს შეფასებები 10 პუნქტად მეტად საინტერესოდ ჩამოაყალიბა გაზეთ „ასავალ-დასავალში“ ამ გაზეთის პოპულარულმა ჟურნალისტმა **ჯაბა ხუბუამ.** მოკლედ გთვაზობთ ამ ჩამონათვალს; **რაც კარგი გაკეთდა: 1. წერტილი დაესვა** მასობრივ რეპრესიებს, სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეებზე ტოტალურ ძალადობას. **2. აღარ ხდება** ბიზნესის ტერორი და აღარ არსებობს ე.წ. ღამის ნოტარიუსების კასტა... **3. ქართული პოლიცია** აღარ წარმოადგენს მმართველი პარტიის ზონდერულ ქვედანაყოფს და სადამსჯელო პოლიტიკურ იარაღს ხელისუფლების ხელში. **4. პენიტენციურ სისტემაში** აღმოიფხვრა წამებები. **5. მსჯავრდადებულებთან** გაფორმებული საპროცესო შეთანხმებებით „უსამართლოდ“ აღარ ივსება ბიუჯეტი. **6. საყოველთაო** ჯანდაცვის პროგრამის წყალობით ავადმყოფი ადამიანები ნორმალურ სამედიცინო სერვისს იღებენ. **7. გაფორმდა** ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება. **8. ხელისუფლებამ** უარი თქვა მილიტარისტულ და სამარ რიტორიკაზე რუსეთის ფედერაციასთან, რამაც უზრუნველყო ყველაზე ხანგრძლივი მშვიდობისა და სტაბილურობის პერიოდი დამოუკიდებელი საქართველოს უახლოეს ისტორიაში. **9. რუსეთ-უკრაინის** ომის პირობებში ხელისუფლება ახერხებს ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებას. **10. ბოლო 20** წლის განმავლობაში ხელისუფლებამ ქვეყნის შინაურ საქმეებში „ცხვირის ჩამყოფებს“ სიტყვის შებრუნება და კრიტიკა გაუბედა!

ის, რაც ცუდი მოხდა: 1. არ მოხდა სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის სისტემური გასამართლება, ანუ არ შედგა ქართული „ნურბერგის პროცესი“. **2. მიხეილ სააკაშვილს** არ ნაეყენა ბრალდებები მთავარ დანაშაულებებზე, კერძოდ, 2008 წლის აგვისტოს „ომში“ დამარცხებაზე, საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის დაკარგვაზე... **3. ხელისუფლებამ** ვერ შეძლო საქართველოში ეტაპით ჩამოეყვანა სისხლის სამართლის დამნაშავეები: ადეიშვილი, კეზერაშვილი და სხვები. **4. არ მოხდა** ძალოვან და მართლმსაჯულების ორგანოთა წმენდა ნაცრეჟიმის დამნაშავეებისაგან. **5. არ მოხდა** უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნება. **6. „ქართული ოცნების“** ხელისუფლებამ ვერ გადადგა საკმარისი ნაბიჯები ქვეყანაში ღრმად ფესვგადგმული საბანკო და ფარმაცევტული მაფიისათვის საკანონმდებლო ლაგამის ამოსადებად. **7. საქართველოში** ადგილობრივი წარმოება ვერ აღორძინდა, არ არის შექმნილი კონკურენტუნარიანი გარემო, რათა ქართულმა პროდუქციამ კონკურენცია გაუწიოს უცხოურ იმპორტირებულ საქონელს, **8. ხელისუფლებამ** არ თუ ვერ გადადგა ქმედითი და ეფექტური ნაბიჯები, რომლებიც საგრძნობლად შეამცირებდა უმუშევრობისა და სიღარიბის დონეს. **9. რუსეთთან** მიმართებაში ვერ ვხედავთ ეფექტიან პოლიტიკას, რომ ოკუპირებული რეგიონები დავიბრუნოთ. ამ მხრივ რამდენიმე ნაბიჯითაც ვერ წაგვიწევია წინ! **10. მწავე** კრიტიკას იმსახურებს „ქართული ოცნების“ საკადრო პოლიტიკა...

აი, ის ჩამონათვალი, რომელიც გააკეთა „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტმა.

ამ ჩამონათვალს ძირითადად ვეთანხმები, მაგრამ ჩემს კოლეგასთან მაქვს მცირედი შენიშვნებიც. კარგ გაკეთებულ საქმეებში მას გამორჩა საქართველოში **ტურიზმის განვითარება,** რომელთანაც დაკავშირებულია გზების დაგება-მოასფალტება და სოციალური ინფრასტრუქტურის (გაზი, წყალი და ა.შ.) მოწესრიგება. კარგ საქმეებში მე-7 პუნქტად „ტურიზმის განვითარება“ უნდა ჩასმულიყო და არა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რომელსაც ეწინააღმდეგებოდა ჩვენი პატრიარქი! ევროპასთან და მსოფლიოსთან სავაჭრო ქსელში ხომ ისედაც ვართ ჩართულნი!

„ცუდ საქმეებში“ ჩემს კოლეგას გამორჩა ხელისუფლების მხრიდან **დემოგრაფიის პირობების** გასაუმჯობესებლად სათანადო ნაბიჯების გადადგმა. სიკვდილიანობამ შობადობას გადააჭარბა და გაერომ 2050 წლისათვის მომაკვდავ ერად გამოგვაცხადა!

ბატონმა ჯაბამ აღნიშნა, რომ ამ ჩამონათვალ პუნქტებში „რომელი რომელს წონის და რომელი რომელს აბათილებს, ეს ქართველმა ხალხმა უნდა განსაჯოს და საკუთარი ვერდიქტი მომავალ არჩევნებში გამოიტანოს!“ მართლაც, ეს ყველაფერი მომავალ არჩევნებში (2024 წელს) გამოჩნდება!

უჩა ჭანგირაშვილი.

სიახლეები განათლებაში
მომავალს იმედიანად შევყურებთ

ორი კვირაა, რაც დაიწყო ახალი სასწავლო წელი საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საინტერესოა ვიცოდეთ ბორჯომსა და მის მუნიციპალიტეტის სკოლებში რა სიახლეები ინერგება, როგორია ზოგადი ვითარება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების კუთხით, ამ საკითხებზე ქალაქ ბორჯომის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელს, ქალბატონ იზოლდა ლომაძეს ვესაუბრეთ.

2022-2023 სასწავლო წელი საქართველოს სკოლებში, მათ შორის, ბორჯომის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი სიახლეებით დაიწყო. ამიერიდან ყველა პირველკლასელი, ვინც 30 სექტემბრის ჩათვლით ხდება 6 წლის, მიიღება სკოლაში. მოსწავლეები კვლავ უზრუნველყოფილია წიგნებითა და რვეულებით. ახალი სასწავლო წლისთვის ბორჯომის საჯარო სკოლების პირველკლასელებმა და მათ დამრიგებლებმა პორტატული კომპიუტერები მიიღეს. ყველა პირველკლასელი ბავშვი ისწავლის ახალ საგანს - ჭადრაკს, სწორედ ამ ეგიდით ქვეყნის მასშტაბით 4000 ათასამდე პედაგოგი გადამზადდა. ბორჯომის სკოლებშიც პირველი კლასის პედაგოგებმა მნიშვნელოვანი ტრენინგები გაიარეს, რათა მომზადებულები დახვედროდნენ ჭადრაკით დაინტერესებულ პატარებს. რაც შეეხება უფროსკლასელებს, ისინი საქართველოს ისტორიას ცალკე საგნად შეისწავლიან უძველესი დროიდან სიღრმისეულად. (წელს მეათე კლასში, ეტაპობრივად, მომდევნო წლებში XI-X კლასებშიც). ასევე მნიშვნელოვანია, რომ განათლების სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით, 2022-2023 სასწავლო წლიდან საჯარო სკოლებში ახალი საგანმანათლებლო პროექტის „სამხედრო საქმის“ პილოტირება იწყება, რომელშიც მაღალმთიანი რეგიონების 18 სკოლის საბაზო საფეხურის (VII-IX კლასის) 300-ზე მეტი მოსწავლე ჩაერთვება. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებს კვირაში ერთხელ გაკვეთილს სპეციალურად გადამზადებული მოქმედი სამხედრო ოფიცრები ჩაუტარებენ. ბორჯომის №1 საჯარო სკოლა ჩასმულია სწორედ ამ პილოტირების ფარგლებში. სხვა საგნების მიმართულებითაც უხვად არის საინტერესო სიახლეები: ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, საშუალო საფეხურს დაემატა სავალდებულო პროექტებით სწავლება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მუსიკასა და სამოქალაქო განათლებაში. აღნიშნული მიდგომა მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას შეუწყობს ხელს. აქვე ვიტყვი, რომ ყველა სკოლის II-VI კლასების მოსწავლეებისთვის კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლება სავალდებულო ხდება.

ბორჯომის ექვს სკოლაში: (ტაძრისის, წაღვერის, ახალდაბის, ბალანთისა და №3 საჯარო) ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებდა, ამიერიდან კი ბორჯომის ყველა სკოლაში შესაძლებელია მოსწავლემ მიაკითხოს სკოლის ექიმს მათივე ჯანმრთელობისთვის, იმისთვის, რომ მათი უსაფრთხოება იყოს მეტად დაცული. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ექიმების შერჩევის პროცესი და საექიმო კაბინეტების მოწესრიგება და სათადარიგოდ აღჭურვა.

● როგორც ვიცით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით წელს 800 სკოლის რეაბილიტაცია იგეგმება. რა ეტაპზეა №4 და ბაკურიანის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, როგორი ტემპით მიმდინარეობს სამუშაოები?

- №4 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია გრძელდება და მომდევნო სასწავლო წელს ახალ, რეაბილიტირებულ სკოლაში შეხვდებიან მეოთხე სკოლელები.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

პენსიები იზრდება

ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსება 770 მილიონი ლარით იზრდება, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** მთავრობის ბოლო სხდომაზე განაცხადა. მან გაზრდილ სოციალურ დახმარებებზე ისაუბრა.

„მაღალმთიან დასახლებებში 70 წლისა და ზემოთ ასაკის მქონე პენსიონერთა პენსია თითქმის, 440 ლარი იქნება, სხვაგან - 365 ლარი. 70 წლამდე პირთა პენსია თითქმის 300 ლარი გახდება, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში 365 ლარი. ამასთან, გარდა პენსიისა, გათვალისწინებული გვაქვს ჩვენ მკვეთრად გამოხატული შშმ პირთა სოციალური გასაცემელის ზრდა 65 ლარით და ასევე სხვა კატეგორიის შშმ პირთა გასაცემელიც გაიზრდება.

მინდა გითხრათ, რომ ბავშვთა დახმარება ჩვენ თითქმის, გავასამმაგეთ - იყო 50 ლარი და ახლა არის 150 ლარი. შარშან იყო 100 ლარი და შემდეგ კიდევ გავზარდეთ და ეს კიდევ გაგრძელდება. ჩვენი სურვილია, 2023 წელს, კიდევ გავზარდოთ!

ოჯახების საყოველთაო კურთხევა დაიწყო

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის დაბადების 90 წლისთვის იუბილისადმი და აღსაყდრებიდან 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სახლების კურთხევის ღონისძიება 2 ოქტომბერს ბორჯომიდან დაიწყო.

ქალაქის ცენტრში აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით ქიათურისა და საჩხერის, ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტმა დანიელმა შეკრებილი მრევლი და ქალაქი დალოცა.

საყოველთაო კურთხევისათვის ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ინფორმაცია 27 სექტემბერს მიეწოდა, მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ეკლესია-მონასტრების მრევლის წევრებმა მოძღვრების დავალებით ოჯახებში მიაკითხეს.

საყოველთაო კურთხევის მიზანია, სამწყოსის სულიერი გაძლიერება და ის ქვეყნის მასშტაბით ყველა ქალაქსა, დაბასა თუ სოფელში ჩატარდება. აღსანიშნავია, რომ კურთხევა ნებაყოფლობითია.

მეცნიერებელი, მასწავლებლებს გმირებად გიმღერის ეს!

მომავალს იმედიანად შევყურებთ

(გაგრძელება)

წარმოდგენილია ბაკურიანის საჯარო სკოლის ძალიან კარგი პროექტი. იწყება სკოლის დემონტაჟი და მშენებლობის დაწყების პროცესი. ორივე სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და მოსწავლეები განთავსებულნი არიან ალტერნატიულ ფართებში დროებით და სწავლების პროცესი მიმდინარეობს ნორმალურ მდგომარეობაში. დასასრულისკენ მიდის ბორჯომის პროფესიული ტექნიკური სასწავლებლის მშენებლობაც, რომელიც ძალიან კარგი შენაძენია, არა მარტო ჩვენი მუნიციპალიტეტის, არამედ პროფესიული დაოსტატებისათვის სხვადასხვა რაიონში მსურველი ახალგაზრდებისთვის. პროფესიული სასწავლებელიც მომდევნო წლიდან დაიწყებს ფუნქციონირებას.

● 2021-2022 სასწავლო წელს როგორ შეაჯამებდით, როგორი იყო მოსწავლეთა წარმატებასა და მასწავლებელთა პროფესიული ზრდის თვალსაზრისით?

- 2021-2022 სასწავლო წელი ნამდვილად იყო რთული პანდემიური და პანდემიიდან გამოსვლის პერიოდი. რა თქმა უნდა, ყველაფერი აისახა სასწავლო პროცესზე და შესაბამისად, ხარისხზეც. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სკოლების, მოსწავლეების, მასწავლებლების სხვადასხვა აქტივობები. სწორედ, ამ კრიზისულ პერიოდში წარმოუდგენელიც კი იყო, რომ ჩაგვეტარებინა რაიონული, შემაჯამებელი კონფერენცია, რომელიც ახალი სკოლის რეფორმის ფარგლებში გაიმართა. კარგად ორგანიზებულ კონფერენციაში მონაწილეობა 45 მასწავლებელმა მიიღო, ხოლო საუკეთესო 23 პრეზენტაცია გაიგზავნა რესპუბლიკურ დონეზე მონაწილეობის მისაღებად. სარაიონო ღონისძიების პარალელურად გამოფენილი გახლდათ მოსწავლეთა ნამუშევრები, ნოვაციური და ორიგინალური მიგნებები, რაც გახდა მყარი საფუძველი, რომ მასწავლებელს აქვს ფართო შესაძლებლობა კვალდაკვალ მისდიოს სიახლის დანერგვას. წარმატებით დასრულეს სასწავლო წელი და 120 აბიტურიენტი სტუდენტი გახდა. მასწავლებლები, თავის მხრივ, კვლავ ზრუნავენ კვალიფიკაციის ამაღლებაზე. უნდა ითქვას, რომ ჩვენ სკოლების პედაგოგთა თითქმის 95 პროცენტი სტატუსით უფროსი პედაგოგია. იზრდება წამყვანთა რიცხვი და გვყავს მენტორი მასწავლებლებიც.

5 ოქტომბერი პედაგოგთა საერთაშორისო დღეა და თქვენი გაზეთის საშუალებით ბორჯომის საგანმანათლებლო სფეროს - სრულიად ყველა მასწავლებელს ვულოცავთ. წარმატებებს ვუსურვებთ მათ პროფესიულ საქმიანობაში.

ქაჯრა მუჩაია ანტონაძე

რეალობის კვალდაკვალ

მასწავლებლის უდიდესი მისია

„ალგებრის მასწავლებელი უსაზღვროდ კრეტინს მესმდა. წარმოიდგინე, უსაზღვროდ კრეტინ - საზღვარი არ გაქვს, ეს შენ კრეტინზმი გადაჭიმულია დედამიწის ერთი კიდიდან მეორემდე, არც შლაგბაუმი ადევს შენს კრეტინობას, არც საბუთს უსინჯავენ, არც ლობეს უშვებენ, მიდის და მიდის მდინარესავით, ურთდება ზღვას, მერე მორეს სრუტეებით, არხებით, მერე მესამე, შედის ოკეანეში, ორთქლდება, მერე წვიმად მოდის, ბალახად ამოდის, ხედ მოდის, ღრუბლად დაქანაობს ცაში, ჭექს, ქუხს, მოკლედ, შენია მთელი მსოფლიო, შენ ხარ მთელი სამყარო. უსაზღვროდ კრეტინ, აუ რამხელა რამეა. ალგებრის მასწავლებლის ოჯახს ააშენებს ღმერთი. როგორ მფასებდა, როგორი წარმოდგენა ჰქონია ჩემზე, მე კი მლანძღავდა მგონი". - ეს სიტყვები „ზნიანი გულის მწერალს" ნოდარ დუმბაძეს ეკუთვნის. ტყუილად ხომ არ ერქვა მას ზნიანი გულის მწერალი? იმ სიტყვებიდანაც კარგად ჩანს, რომ სწორედ ნოდარ დუმბაძეს შეეძლო, ნეგატივშიც საოცარი პოზიტივი დანახა, თანაც, მერე ასე ლამაზად და გულში ჩამწვდომად გადმოეცა.

ჩემ სათქმელსაც სწორედ ნოდარ დუმბაძის ეს სიტყვები წავუმძღვარე წინ. ხოლო ის, რის შესახებაც დღეს მინდა ვისაუბრო, სწორედ პედაგოგების მოსწავლეებთან დამოკიდებულებაზეა.

დღეს XXI საუკუნეში სრულიად სხვანირი თაობა მოვიდა, უფრო მეტად თავისუფლები, ღიები, უკომპლექსოები. თითქოს ზღვარიც კი წაიშალა პედაგოგსა და მოსწავლეებს შორის. თუმცა, ის რაც თითოეული პედაგოგისთვის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს მოსწავლეებთან მიმართებაში, ეს არის სწორად ნათქვამი სიტყვა. სიტყვა, რომელსაც უდიდესი ძალა აქვს.

მეც დედა ვარ და გვინდა სასწავლო წლის დასაწყისში ჩვენი შვილები სრულად მომზადებულები გავუშვათ სკოლაში. სამოსს თუ არ ჩავთვლით, ყველანირად ვცილობთ შეუძინოთ საკანცელარო ნივთები. ყველა საგანში ხომ საკმარისად უნდა ჰქონდეთ შესაბამისი რესურსი? მადლობა უფალს, რომ უკვე წლებია სამინისტრო სახელმძღვანელოებს უფასოდ გადასცემს მოსწავლეებს. ეს ხომ უდიდესი შეღავათია მრავალშვილიანი ოჯახებისთვის?

სასწავლო წლის დასაწყისში საკანცელარო ნივთების შესაძენად გახლდით მაღაზიაში შესული. სწერი კალმების სექციასთან ვიდექ, მაღაზია სავსე იყო მშობლებითა და ბავშვებით. ჩემ გვერდით დედა-შვილი იდგა. ბიჭუკამ სამლესელებისკენ გაიშვირა ხელი ქეც ავილოთო. თუმცა, დედამ ნაღვლიანი ხმით გაჩუმა, - გთხოვ, ხომ იცი, ვერ ავიღებ, ამ რვეულებისთვის აღარ გვყოფა ფულიო. გავყინე გული შემეკუმშა კი ვიფიქრე, მოდი მე ვუყიდი მეთქ, მაგრამ



გარშემო იმდენი ადამიანი იდგა, ქალბატონის სიტყვები კი ძალიან მე გავიგონე. ჩემდა საბედნიეროდ, გადავიფიქრე იქ მდგარი ადამიანების და იმის გამო, რომ ქალს შეურაცხყოფილად არ ეგრძნო თავი. რომ წამოვედი დიდხანს მიტრიალებდა იქ გაგონილი გონებაში და ალბათ, არც არასდროს დამავიწყდება.

ამ ამბის გახსენებით კი იცით რისი თქმა მინდა? ხშირად არც კი იცის ბევრმა პედაგოგმა, რამდენი მოსწავლე მივიდა 1 სექტემბერს ერთი რვეულით, ან ერთი კალმით და არა მარტო ეს. ვინ იცის, რამდენი ბავშვი დილით ერთი ფინჯანი ჩაითა და ხმელი პურით მიდის სკოლაში? ან ხშირად ამ ყველაფრის გარეშეც სრულიად მშიერი. სწორედ ამიტომაა პედაგოგის პროფესია ყველა სხვა პროფესიისაგან რთული და ამავდროულად საპასუხისმგებლოც. სწორედ პედაგოგებს მართებთ გამოცდნო მოსწავლის შინაგანი სამყარო, უნდა იცოდნენ რა უჭირს, ან რა ულხინს თითოეულ მათგანს. მითუმეტეს, გაკვეთილის არ ცოდნის გამო არ უნდა დატუქსონ და ლანძღონ. იქნებ შეძლონ იმის გარკვევა. თუ რატომ, რა მიზეზით ვერ, ან არ სწავლობს? იქნებ და მიზეზი აქვს მის უსწავლელობას? განა ყველა ადამიანი ერთმანეთს ჰგავს? მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საუკუნეში სრულიად სხვანირი თაობაა, სწორედ მათი გულები ვერ უძლებენ პედაგოგების, ან მათი თანატოლების მხრიდან შეურაცხყოფას და ხშირად მივდივართ გამოუსწორებელ შედეგებამდე, რის მაგალითებიც ყოველდღიურად არაერთია ჩვენ გარშემო.

P.S. თითოეული პედაგოგის მოვალეობაა, სანამ ის პროფესიულ უნარ-ჩვევებს შეიძენს, პირველ რიგში იყოს ადამიანი და თითოეულ მოსწავლეში დანახოს ის რესურსი და შესაძლებლობები, რასაც მათი ცხოვრების რადიკალურად შეცვლა შეუძლია. მუდამ იცოდეთ პედაგოგებო, რომ სიტყვას უდიდესი ძალა აქვს და სწორედ თქვენ მიერ ნათქვამ სიტყვას შეუძლია დალუბოს, ან გადაარჩინოს თქვენი მოსწავლე. იქნებ რომელიმე მათგანში მომავალი ნოდარ დუმბაძეა, რომლის მაგალითიც საუკუნეში ერთხელ იბადება. მათი აღმოჩენაც ხომ სწორედ თქვენ კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

ნატო მელიქიძე

(თემის გაგრძელება იქნება)

5 ოქტომბერი პედაგოგის დღეა

ჩემი დაუვიწყარი მასწავლებელი

5 ოქტომბერი პედაგოგთა საერთაშორისო დღეა. პროფესია, რომლისთვისაც ღირს სიცოცხლე! მოწოდებით პედაგოგია - ამას ხშირად გაიგონებდით ძველ საქართველოში. ნეტავ, ახლაც არიან თავიანთ საქმეს უკიდეგანოდ შეწირული მასწავლებლები? არიან! ყოველთვის ასე იყო: მომავალი თაობის ბედი და მომავალი იდგა პედაგოგის - მისი აღმზრდელის მხრებზე! ამბობენ, ყველაზე დაუფასებელი პროფესიაააო იმ კუთხით, რომ ყოველდღიურ შრომასა და გარჯას, გამონაკლისების გარდა, სათანადოდ ვერ აფასებს ვერც სახელმწიფო და ვერც მშობელი. დაფასებაში ვგულისხმობ ხელშეწყობას. მხოლოდ სკოლაში რამდენიმე საათი არაა საკმარისი სრულყოფილი განათლებისათვის, ოჯახი მნიშვნელოვანია, სადაც აღზრდა იწყება და გრძელდება. ადრე მოძღვრის ფუნქციაც ჰქონდა პედაგოგს - უნდა ეზრუნა მოსწავლის სულზე. მის სწორ განვითარებაზე. დღეს ეს თითქოს გაიმიჯნა და ერთმანეთს ფარულად ვესმარებით - მასწავლებელი და მოძღვარი.

წლები გადის და არ მეგულება ადამიანი, ვისაც ერთი მასწავლებელი მაინც არ ჰყოლია ისეთი, რომელიც სამუდამოდ რჩება მის თვალსაწიერში და ჩირაღდანივით გაპყოლია ცხოვრების გზაზე. მე მყოლია ასეთი მასწავლებელი - ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, სათნოების განსახიერება, ქალბატონი ნანა მამუკელაშვილი. მისი პიროვნული, თუ პროფესიული ცოდნის არნახული ღირსებები გახდა ჩემთვის მეფიქრა და მეოცნება, რომ მასწავლებლობას შევძლებდი. დღესაც უწყვეტი კავშირი მაქვს მასთან და მასწავლებლის ზებუნებრივი მადლი გადმოდის ჩემზე, როგორც მუდმივ მოსწავლეზე. გაკვეთილზე, ხშირად, საუბრისას აღმომიჩენია, რომ ნანა მასწავლებელივით ვლაპარაკობ, მასავით ვდგავარ, მისებრ შემიძლია შევიხედო თითოეული მოსწავლის სულში. მადლობა ამისთვის მასწ! ჩვენ საზოგადოების წარმომადგენლებს ვთხოვეთ გაეხსენებინათ თავიანთი ძვირფასი მასწავლებლები:

ოთარ არბოლიშვილი, ბორჯომის მერი: - ქალბატონი თინა წკრიალაშვილი გახლდათ ჩემი დამრიგებელი და ძალიან კარგად მახსენდება მოსწავლეობის წლები. მზრუნველი, თბილი დამოკიდებულება ჰქონდა. ჩვენი პერიოდი იყო უტრანსპორტობის, უშუქობის, რაც აკადემიურ მოსწრებაზეც აისახებოდა. არასდროს პრობლემას არ გვიქმნიდა. პედაგოგს ბავშვები უნდა უყვარდეს და ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ თავისი შრომით ძალიან დიდ საქმეს უკეთებს ქვეყანას, გულდასაწყვეტია სათანადოდ არ უნაზღაურდებათ თავიანთი შრომა, მაგრამ ვიმედოვნებ, ახლო მომავალში შეიცვლება არსებული მიდგომები და მეტად დაფასდებინ პედაგოგები. ისინი უნდა იყვნენ საზოგადოებისგან განსაკუთრებულად საპატივსაცემო ადამიანები! უკვე სკოლაში მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდათ ჩემ პედაგოგებს: დალი თედიაშვილს, ლარისა სოღოიანს, თინა წკრიალაშვილს და მინდა მათ მივულოცო გულითადად პედაგოგის დღე.

დავით ზაალიშვილი, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: - ყველა მასწავლებელი კარგად მახსოვს და ყველას პატივს ვცემ, ვაფასებ, მაგრამ ჩემთვის ყველაზე საუკეთესო მასწავლებელი ქეთინო კიკნაძე იყო. ნათელი მის სულს, ძალიან დამწყვიტა გული... სიცოცხლის ბოლო წუთამდე ჩემი გულშემატკივარი იყო და სულ მეუბნეოდა - შენზე კარგს რომ ამბობენ, ძალიან მიხარია და ბედნიერი ვარო. ძალიან თბილი ადამიანი იყო. სკოლის დასრულებამდე მთელ კლასთან ურთიერთობდა ბოლო წუთამდე. მან მასწავლა ქვეყნის და ადამიანების სიყვარული და პატივისცემა, საქმის მიმართ პასუხისმგებლობა.

ეკატერინე ორმოცაძე, - ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი: - ნაზი ჭელიძე გერმანულს მასწავლიდა და თან კლასის დამრიგებელი იყო. ძალიან მშვიდი, დაბალანსებული, თავშეკავებული და თავისი საგნის ზედმიწევნით მცოდნე. მისი პროფესიონალიზმი ჩემი ინსპირაცია გახდა, შემეცვალა პროფესია და გავმხდარიყავი გერმანისტი. მეხუთეკლასელებს აქვთ შესაძლებლობა მეორე უცხო ენად აირჩიონ გერმანული და ამიტომაც გადავწყვიტე ეს სიახლე, სასიამოვნო გამოწვევად მიმეღო. ძალიან ვღელავ, მთელი გულით მზად ვარ ვასწავლო გერმანული ენა ბაკურიანის საჯარო სკოლაში.

მარიანა გელაშვილი, მასწავლებელი: - მასწავლებელი, რომელიც მახსოვს და დამყვება მთელი ცხოვრება, არის ჩემი პირველი მასწავლებელი - ნანა გოგოლაძე. არასოდეს მავიწყდება სკოლაში შესვლის პირველი დღე. ძალიან ვღელავდი, მინდოდა რაც შეიძლება ჩქარა მენახა ჩემი პირველი მასწავლებელი. დადგა ნანატრი წუთიც. გაიღო საკლასო ოთახის კარები და მომღიმარი, სიყვარულით გამთბარი თვალებით შემოდის ჩემთვის იმ წუთში ყველაზე ძვირფასი, ყველაზე ლამაზი ქალი (ქალბატონი) - ნანა მასწავლებელი. მახსოვს როგორ გვაზარა პირველივე დღიდან ცოდნის მნიშვნელობას.

რობერტ ნადირაძე, ანსამბლ. „ბორჯომის" ხელმძღვანელი: - მე დავამთავრე რუსული სკოლა. ძალიან მიყვარდა გეოგრაფიის მასწავლებელი ქალბატონი ქსენია გვერწითელი. ორი დღე გვქონდა კვირაში გეოგრაფიის გაკვეთილი და ჩემთვის ის დღეები იყო განსაკუთრებული. სიხარულით ვუსმენდი და ის იყო ყველასგან გამორჩეული და კეთილი ადამიანი. სახლშიც გვიბარებდა ხოლმე ბავშვებს დამატებით გვიხსნიდა გაკვეთილს. ქსენია მასწავლებელი იყო ჩემთვის იდეალური ადამიანი.

ნინო ბენდელიანი, საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი: - ჩემთვის დღემდე დასამახსოვრებელია ბატონი ზაური ქურდაძე - ჩვენი მათემატიკის მასწავლებელი. ოცდათექვსმეტნი ვიყავით და მის გაკვეთილზე არნახული სიჩუმე იყო. კვირაში ერთხელ თეორიის გაკვეთილები გვქონდა - საზეპირო წესების, რასაც გვასწავლიდა, გააზრებულად გვასწავლიდა. არისტოკრატი იყო, მუდამ მოწესრიგებული, პროფესორს მიამგვანებდით.

ეკა გელაშვილი, ვარდგინეთის საბავშვო ბაღის უფროსი: - უსაყვარლეს მასწავლებლად ნაზი ბურჯანაძე შემიძლია დავასახელო. ჩემი მესაიდუმლე. ხანდახან ვფიქრობდი, როგორ შეეძლო ჩემნაირ პატარა გოგოსთან ემეგობრა. დაუსრულებლად შემეძლო მასთან ნებისმიერ საკითხზე მესაუბრა. არ დამავიწყდება არასოდეს, სანამ ცოცხალი ვარ. მისმა პიროვნებამ დიდი როლი შეასრულა ჩემი პროფესიის არჩევაში. ის იყო ერუდირებული, თავდაჯერებული, გაწონასწორებული, ძალიან უბრალო, ლმობიერიც და მკაცრიც. მასში ყველა თვისება იყო ერთად შერწყმული. დიდსულოვანი მასწავლებელი. ახლა ცოტა შეუძლოდ არის და სულ ვფიქრობ მასთან სტუმრობას...

ნათია ბოგალაძე, უცხო ენის პედაგოგი: - ჩემთვის საყვარელი პედაგოგი ჩემი გეოგრაფიის მასწავლებელი, მანანა უხურგუნაშვილი შემიძლია დავასახელო, რომელიც გამოირჩეოდა ხმის ტემბრით და გაკვეთილის ახსნით, მისი ყველა გაკვეთილი საინტერესო იყო, ყველა მოსწავლესთან ჰქონდა ძალიან თბილი დამოკიდებულება, არასდროს უწევდა ხმას, იმიტომ რომ, ყველა ყურადღებით ვუსმენდით.

ძმითევან ხაჩიძე, №6 საჯარო სკოლის დირექტორი: - მასწავლებელი, რომელიც მახსოვს და დამყვება მთელი ცხოვრება, იყო ბატონი ნოდარ ხუციშვილი. გამორჩეული არ ვიყავი ტექნიკური საგნების სწავლით, მაგრამ ნოდარ მასწავლებელი ისე მარტივად გვიხსნიდა ალგებრას და გეომეტრიას, რომ მიხაროდა მის გაკვეთილებზე დასწრება, რადგან მისი დამსახურებით საგანს „გავუგე. თან ყოველი გაკვეთილი იუმორით იყო შეზავებული - როგორ ოსტატობით ახერხებდა, არ ვიცი...



მარიზა ჭითა, ბიოლოგი, პოეტი: - მასწავლებელი, რომელიც განსაკუთრებით მახსოვს ნადია იჩქიტიძე. 7 წელი იყო ჩემი კლასის დამრიგებელი. მან პირველმა შეამჩნია ჩემში მომავალი მასწავლებელი და მეშვიდე კლასიდან დაწყებით კლასებში მატარებინებდა გაკვეთილებს. მას ჰქონდა დიდი სიყვარულის, ზრუნვის, ერთგულების უნარი, რაც მეც გადამდო. ასევე სიყვარულით გავიხსენებ ცისანა მაისურაძეს, ზაირა ლონდარიძეს, ნინელი მაჭარაშვილს, ვენერა დავითაძეს და თამარ ჯოჯუას.

მაგრამ ჩემთვის ყველაზე საუკეთესო მასწავლებელი ქეთინო კიკნაძე იყო ნათელი მის სულს, რომელმაც ძალიან დამწყვიტა გული.

ღია წერილი რომან გოცირიძეს

გავუთრთხილდეთ მიწას, ჩვენს მარჩენალს!

გამომცემლობა „დანი“-მ გამოსცა ავტორთა ჯგუფის მიერ (ალექსანდრე სიჭინავა, ანზორ მესხიშვილი, დალი სეხნიაშვილი) დამუშავებული მონოგრაფია, რომლის სათაურია, „მიწის რეფორმა საქართველოში – სახელმწიფო მონოპოლიიდან კერძო საკუთრებამდე: განხორციელების ეტაპები და მექანიზმები“.

194 გვერდიდან ნაშრომი სამ ენაზეა შედგენილი (ქართული, ინგლისური, რუსული).

მონოგრაფიაში განხილულია საქართველოში გატარებული მიწის რეფორმები, მათი განხორციელების ეტაპები და მექანიზმები, უძრავი ქონების ბაზრის ფორმირებისა და განვითარების თეორიული და მეთოდოლოგიურიო ასპექტები, ყურადღება ეთმობა იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც გავლენას ახდენენ რეფორმების წარმატებაზე, რათა ქვეყანაში განისაზღვროს ოპტიმალური „თამაშების წესები“ და შეიქმნას პროგნოზირებადი საინვესტიციო გარემო, ხელი შეუწყოს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობის განვითარებას და ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემების გადაწყვეტას.

ამ მეტად საგულისხმო და საჭირო მონოგრაფიის რედაქტორია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ოთარ ძიძელავაშვილი, ხოლო რეცენზენტები არიან ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნოდარ ძიმისანავა და ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ქალბატონი ნაზი მიქაბაძე.

ნაშრომი მეტად ძვირფასი შენაძენია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების დაინტერესებული ადამიანებისათვის. მით უფრო დღეს, როდესაც მსოფლიო განიცდის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების კატასტროფულ სიმცირეს და ბევრ ქვეყანაში მოსახლეობა შიმშილის პირასაა.

მიწა ჩვენისთანა პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, უდიდესი სიმდიდრეა და მას თვალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ. სწორედ ამ პრობლემას ეხება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, სერტიფიცირებული ექსპერტიოს უძრავი ქონების (მიწის) საკითხებში ბატონ ანზორ მესხიშვილის ღია წერილი, რომელიც პარლამენტარ რომან გოცირიძეს გაუგზავნა.

ბატონო რომან, გამოვხატავ რა თქვენს მიმართ პატივისცემას, როგორც ერთ-ერთი მაღალკვალიფიციური ეკონომისტი, მინდა დაგისვათ შეკითხვა, თქვენს შეკითხვასთან დაკავშირებით, რომელიც თქვენ პარლამენტის სხდომაზე დაუსვით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს, ბატონ ოთარ შამუგიას, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანშნულების მიწების უცხოელებზე გაყიდვასთან დაკავშირებით, ვიცი, რა თქვენი დადებითი პოზიცია უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მიწების მიყიდვის შესახებ. იცით, თუ არა, რამდენი ჰექტარი მიწა აქვს საქართველოს დანშნულებისა და კატეგორიების მიხედვით? ნება მომეცით, ჩემს შეკითხვას მე თვითონ გავცე პასუხი, რადგან არა თუ თქვენ, ვერავინ ვერ გვეტყვის საქართველოში რამდენი სასოფლო-სამეურნეო დანშნულების მიწა გვაქვს დანშნულებისა და კატეგორიების (კულტურების) მიხედვით. მინდა შეგახსენოთ, 2005 წლამდე ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ხდებოდა მიწების აღრიცხვა მიწის დანშნულების, კატეგორიების, რაიონების, მხარეების, მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა მიხედვით. ამ მიზნით ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაიონის გამგეობა ამტკიცებდა მიწის ბალანსს, რომელსაც შემდეგ იხილავდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და დასამტკიცებლად წარუდგენდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტს.

მას შემდეგ, რაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ქართული მიწის ღალატის ფასად 2004 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა მთავრობამ გააუქმა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, მასთან ერთად გაუქმდა მის დაქვემდებარებაში არსებული მიწათმოწყობის სამეცნიერო კვლევითი-საპროექტო ინსტიტუტი და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორია, გაჩერდა ნიადაგების კვლევისა და სხვა მიმდინარე სამუშაოები, შეწყდა მიწის ბალანსის წარმოება. სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში (ამ დარგის ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელში) შეწყდა მიწათმომწყობთა კადრების გამოშვება. მიწის აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა ქვეყანაში დღემდე აღარ ხორციელდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს ვერავინ გეტყვით, რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია ქვეყანას – მათ შორის რამდენია კერძო, მუნიციპალური თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანშნულებისა და კატეგორიების მიხედვით. არ ვიცით, რამდენი ჰექტარი ვენახი, ხილის ბაღები, ჩაი, ციტრუსი და სხვა კულტურები გვაქვს. არ არის დაზუსტებული საზღვრები რუსეთთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან. საინტერესოა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2012 წელს როგორ შეიმუშავა: „სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2012-2022 წლისათვის“, როდესაც არ იცოდა და არ იცის, რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული აქვს კულტურებისა და საკუთრების მიხედვით?! არ სრულდებოდა საქართველოს კანონები: „ნიადაგების დაცვის შესახებ“ და „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“. არ ვიცით, რამდენი ჰექტარი მიწის ფართობი გვაქვს, მათ შორის რამდენია სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები, სათიბი და საძოვარი. არ ვიცით რამდენია კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. რას ვყიდით და



რამდენად ვყიდით?!

არ არსებობს მიწის ბონიტრირება, არ ვიცით მიწის ფართობების ხარისხობრივი (ნაყოფიერების) მონაცემები რაიონებისა და რაიონში სხვადასხვა ადგილას, რის შედეგად მთავრობის მიერ დადგენილი მიწის გასაყიდი ფასები არ არის რეალური, მაგალითად, თეთრწყაროს რაიონში მიწის გასაყიდი ფასი სოფელ კოდაში და დაბა მანგლისში ერთი და იგივეა, გასაყიდი ფასები დადგენილია ქართველი ფერმერის ეკონომიური შესაძლებლობის გათვალისწინებით. რაც უცხოელეს საშუალებას მისცემს ჩალის ფასად ჩაიგდოს ხელში ქართული მიწები. მიწების უცხოლებზე გაყიდვის მომხრეები იძახან: „გავყიდოთ მიწები თან ხომ არ წაიღებენო“. თან არ წაიღებენ, მაგრამ XIX საუკუნეში ლაგოდეხში ვაჩნაძეების ოჯახმა სამი აზერბეიჯანელი ოჯახი ჩამოასახლა საკუთარი საქონლის სამწყესავად. ეს სამი ოჯახი 10 ათასი მაცხოვრებელია და სოფელი კაბალი ყველაზე დიდი სოფელია ლაგოდეხში. ანალოგიური მდგომარეობა მოხდა სამაჩაბლოში.

დედამიწაზე მოსახლეობის ზრდის შედეგად საკვების შემცირების პრობლემა სულ უფრო მწვავდება. ეს პირველ რიგში ეხება მიწას, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო დანშნულების სავარგულებს. აქედან გამომდინარე სახელმწიფოები განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდებიან სასოფლო-სამეურნეო დანშნულების მიწის უცხოელებისთვის მიყიდვას. არცერთ თანამედროვე ქვეყანაში, მიწაზე საკუთრება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას (გამოყენების და ბოროტად გამოყენების უფლება), არამედ ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით. ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადაცემა. მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი თურქეთში, ავსტრალიაში, იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში. პოლონეთში სანებართვო სისტემა მოქმედებს. მიწის ყიდვა არსად არავის არ შეუძლია, თუ არ დასტურდება მისი წინა საქმიანობით, რომ ის ფერმერია, ან აქვს სპეციალური აგრარული განათლება.

შვეიცარაში მიწის შეძენა დაშვებულია სათანადო ნებართვის აღების შემდეგ. გერმანიაში უცხოელს მიწის შეძენა შუძლია სპეციალური კომისიის ნებართვით. ავსტრიის სახელმწიფოში უცხოელთა მიერ მიწის შეძენა რეგულირდება ცალკეული მიწების კანონებით. დანიის კანონმდებლობით ქონების შეძენა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. არარეზიდენტს ქონების შეძენა შეუძლია, თუ ისინი არიან ევროკავშირის წევრები და მუშაობენ დანიაში. რუმინეთში უცხოელის მიერ მიწის ნაკვეთის შეძენა შესაძლებელია ქვეყნებს შორის შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში და ისიც მხოლოდ იმ პირობის გათვალისწინებით თუ მეორე ქვეყანაც რუმინეთის მოქალაქეებს ანალოგიურ უფლებებს მისცემს.

როგორც ცნობილია, საქართველოდან მილიონზე მეტი მოქალაქე გასულია უცხოეთში სამუშაოდ, რადგან აქ ვერ პოულობენ სამუშაოს, ხოლო მიწაზე ფერმერობა დღეის მდგომარეობით არ არის შემოსავლიანი. ეს დროებითი პროცესია. მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ ეს მოქალაქეები, როცა დაბრუნდებიან საქართველოში, მათ ქართული მიწები უცხოელებზე გაყიდული დახვდებათ აფხაზეთში. აფხაზეთის დეფაქტო მთავრობა არ ყიდის უცხოელებზე მიწებს. საქართველოში ერთ ჰექტარ საძოვარზე ნორმით უნდა ძოვდეს ერთი ძროხა და ორი ცხვარი. 1992 წლამდე, როცა ჩვენს მუდმივ სარგებლობაში იყო ყიზლარის (კოჩუბეი) ნახევარი მილონი ჰექტარი მიწის ფართობები, ჩვენი სამოვრები გადატვირთული იყო. მას შემდეგ მდგომარეობა კი არ გაუმჯობესებულა, არამედ საგრძნობლად გაუარესდა. საქართველოში, როდესაც აღირიცხებოდა 800 000 ჰექტარი სახნავი მიწა, ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 0.16ha სახნავი მიწა (ნორმა 0.5ha), რაც მსოფლიოში ყველაზე დაბალია. დღეის მდგომარეობით, არა თუ გაუმჯობესდა მდგომარეობა, არამედ კატასტროფულად გაუარესდა. 2004 წლის მონაცემებით საქართველოს მთელი ტერიტორიის 54% უკავია მთებს, 33% მთისწინებს, მხოლოდ 13% არის დაბლობი. საქართველოში მთელი ტერიტორის 44% გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, უკრაინაში - 91%, ჩრდილოეთ კავკასიაში - 88% საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში სახნავია - 26%, უკრაინაში - 80.6%, მოლდავაში - 73%.

ბიბლიაში წერია: - მიწა არ უნდა გაიყიდოს, თუ შენ მოძმე გაღარიბდება და მიწას გაყიდის, მოვიდეს მისი ნათესავი და გამოისყიდოს.

ბატონო რომან, ვითვალისწინებ გაზეთის რეგლამენტს და აქ დავამთავრებ, არადა, ძალიან ბევრი დასაბუთებული არგუმენტების მოყვანა შემეძლო, რაზომ არ უნდა გაიყიდოს უცხოელებზე ქართული მიწები. ჩემი თუ არ გჯერათ, იქნებ ვაჟა-ფშაველას და აკაკი წერეთელს დუჯეროთ. აი რას ამბობდა ვაჟა-ფშაველა: **„საქართველო დღეს წააგავს მსუქან დუმას, გარეშე კაცი მიეტანა ამ დუმას და ნელ-ნელა ათლის კაი-კაი ნაჭრებს. ჩვენი ტერიტორია სხვის ხელში გადადის და ჩვენ ქართველები ამ დუმის თლას, მიწაწყლის გადასვლას სხვის ხელში, როდი ვეწინააღმდეგებით სასტიკად. როგორ ეკადრება ასეთი საქციელი ჩვენს კეთილშობილებას.... რას სჩადიხართ, ვინ მოგცათ ნება, ერის საუნჯე ტერიტორია საძმო, საკაცობრიო ტაბლად აქციოთ და თვით ერსაც ხელი აალებინოთ?!“, ხოლშისტორიის უცნობი ფაქტები. ხოლო აპაჩი წერეთელი წერდა: „ნუ ეხუმრებით ქართულ მიწა-წყალს და ნუ ადგამ ბიჯს, ზედ წარამარად! ის არის ჩვენი „წმინდა წმინდათა“ უნდა გვახსოვდეს მარად და მარად. აბა ერთ გოჯს თუ სადმე ნახავთ, რომ ის არ იყოს სისხლით მორწყული! იმის სიღრმეში ჩამარხულია ჩვენი წინაპრის სული და გული“.**

ანზორ მესხიშვილი,
ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. სერთიფიცირებული ექსპერტი უძრავი ქონების-მიწის საკითხებში.

ისტორიის უცნობი ფაქტები

ჯვარის მონასტრის აღაპების „შოთა მეჭურჭლეთუხუცესი“

1902 წელს იერუსალიმში მოგზაურობის დროს, გამოჩენილმა მეცნიერმა ნიკო მარმა, ჯვარის სავანის ძველ ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში აღმოაჩინა ჯვარის სამონასტრო მატიანეები. (სააღაპე მატიანეები), რომლებიც ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში უნახავს ქართველ მოგზაურს ტიმოთე გაბაშვილს (ამ საისტორიო წყაროდან ამოკრეფილი ცნობები ტიმოთეს შეტანილი აქვს თავის „მიმოსვლაში“).

ნიკო მარმა მის მიერ აღმოჩენილი ტექსტები გამოაქვეყნა 1914 წელს „წიგნში – „აღაანი ჯუარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა“. სააღაპე წიგნში მან ასეთი აღაპი ნახა: ორშაბათი სულისა წმიდისა მისვლისაი.

„ამავე ორშაბათსა აღაპი შოთაისა მეჭურჭლეთუხუცესისაი ვინ შეცვალოს შემცაცვალებულ არს სჯულისაგან ქრისტეანეთაისა“, ასევე შოთას აღაპი განმეორებულია აღაპთა მოკლე ნუსხაში, სადაც იგი შემდეგნაირად იკითხება: „ორშაბათსა სულისა წმიდაისა მოსვლისასა წირვაი და აღაპი საუკუნოი შოთაისა მეჭურჭლეთუხუცესისაი შეუნდვენ ღმერთმან“.

XX საუკუნის 20-იან წლებში რუსთველის ბიოგრაფიის შესწავლას ხელი მოჰკიდა აკადემიკოსმა პავლე ინგოროყვამ. 1926 წელს მან ცალკე წიგნად გამოსცა „რუსთველიანა“, ხოლო 1963 წელს „რუსთველიანას ეპილოგი“, სადაც საბოლოოდ შეაჯამა საკუთარი თვალსაზრისს. შოთა რუსთაველის ვინაობის შესახებ ინგოროყვას გამოკვლევის ძირითადი დასკვნები ასეთია: **პოეტი შოთა რუსთაველი, იგივე შოთა კუპრია, რომელიც საქართველოს ისტორიაში ცნობილია XII საუკუნის 40-იანი წლების ჰერეთის ერისთავად. მისი აზრით შოთა კუპრი იყო საქართველოს მეფეთა გვარის – ბაგრატიონების ერთ-ერთი შტოს, ჰერეთის მმართველი ბაგრატიონების წარმომადგენელი. იგი ჯერ ყოფილა ქალაქ რუსთავის მფლობელი, საიდანაც მიუღია ზედწოდება რუსთაველი, შემდეგ გამხდარა ერისთავთ-ერისთავი საქართველოს აღმოსავლეთ მხარეთა – ჰერეთისა და რუსთავის ოლქებისა („ქვეყნებისა“).**

1196-1207 წლებში შოთას დაუწერია „ვეფხისტყაოსანი“. თითქოს იგი 1245 წელს მონაწილეობდა ქართველ მთავართა მიერ მონღოლთა წინააღმდეგ განზრახულ კოხტასთავის შეთქმულებაში (ინგოროყვას გამოთვლით ის ამ დროს 79 წლის იყო).

თითქოს 1247-50 წლებში შოთას, ერისთავთ-ერისთავს და ვაზირ-მეჭურჭლეთუხუცესს იერუსალიმში გაუგზავნია ეპისკოპოსი ანტონ ალავერდელი, მისთვის გაუტანებია სათანადო თანხა ჯვარის მონასტრის შესაკეთებლად. ანტონ ალავერდელმა დაახატვინა შოთას სურათი მონასტრის სვეტზე და მანვე ჩაწერა შოთას მოსახსენებელი აღაპთა წიგნში. **პავლე ინგოროყვას მტკიცებით შოთა რუსთაველი გარდაცვალა 1250 წლის ახლის, დაახლოებით 84 წლის და იგი დასაფლავებულია მის საგვარეულო სამარხში, რუსთავის ძველი კათედრალის სანახებში.**

დღეისათვის რუსთაველის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული ინგოროყვას ყველა ძირითადი დებულება უარყოფილია და მისი მცდარობა დასაბუთებულია ქართველი ისტორიკოსებისა და ფილოლოგების მიერ (კ.კეკელიძე, ს.კაკაბაძე, ნ.ბერძენიშვილი, მ.ლორთქიფანიძე, დ.გურგენიძე, დ. მუსხელიშვილი, ნ.შოშიაშვილი, დ.ქუმსიშვილი, ს.ცაიშვილი და სხვები).

იყო თუ არა აღაპებში მოხსენიებული შოთა მეჭურჭლეთუხუცესი თამარის მეფობის პერიოდში სავაზიროს „წევრი და „ვეფხისტყაოსანის“ ავტორი? ზოგიერთი მკვლევარი ამ აზრს არ იზიარებს. მაგალითად, პროფ. შ. მესხია თავის ნაშრომში „საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში“ აღნიშნავს, რომ ჯვრის მონასტრის აღაპების „შოთა მეჭურჭლეთუხუცესი“ არ უნდა იყოს თამარის მეფობის დროინდელი (1184-1213).

აკადემიკოსმა ელენე მეტრეველმა 1962 წელს გამოცემულ ნაშრომში „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის“ საგანგებოდ განიხილა ჯვარის მონასტრის სვინაქსარში ჩაწერილი „შოთა მეჭურჭლეთუხუცესის აღაპის და ამავე მონასტრის სვეტზე გამოსახული რუსთველის ფრესკის ურთიერთობის საკითხი. პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით მან აღაპი XII-XIII საუკუნეთა მიჯნით დაათარიღა, ხოლო აღაპთა წიგნების ჩანაწერების ხასიათისა და ჯვარის მონასტრის განახლება-შეკეთების ისტორიის გათვალისწინებით დაადგინა, რომ რუსთაველის ფრესკაც იმავე ეპოქაში დახატული უნდა იყოს და **რომ სვეტზე გამოსახული „რუსთველი“ და აღაპში მოხსენიებული შოთა მეჭურჭლეთუხუცესი ერთი და იგივე პირია.**

რომელ წლებში შეიძლება ყოფილიყო შოთა რუსთაველი მეჭურჭლეთუხუცესი და სავაზიროს წევრი ამ საკითხზე ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა.

თამარ მეფემ 1185 წელს მეჭურჭლეთუხუცესად დანშნულ კახაბერ ვარდანის ძე 1187-88 წელს აბულასან იობისძით შეცვალა. აბულასანმა დიდი როლი ითამაშა გიორგი რუსის საქართველოში ჩამოყვანაში, რაც უდავოდ მეფის კარზე მის დიდ ავტორიტეტს უსვამს ხაზს.

აბულასანი გიორგი III-ის მეფობის ბოლო წლებიდან მოკიდებული სწრაფად დაწინაურდა სამეფო კარზე - ქართლისა და თბილისის ამირა 1178 წლიდან თანდათან იქცა ჯერ ქართლის ერისთავთ-ერისთავად, რუსთავის ამირათ-ამირათ და „შვიდთა მთიულეთთა პატრონად, ხოლო შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესად. მაგრამ გიორგი რუსის საქართველოდან განდევნასთან ერთად დაეცა აბულასანიც, - მან დაკარგა ყველა თანამდებობა აბულასანისა და მის მომხრეთა. ცდა ხელახლა დაებრუნებინათ გიორგი რუსი სამეფო ტახტზე, უშედეგოდ დამთავრდა და აბულასანიც საბოლოოდ გაქრა პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზიდან.

ვინ შეცვალა აბულასანი მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობაზე, ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში სადავოდაა ქცეული.

აკადემიკოს პავლე ინგოროყვას აზრით, აბულასანის შემდეგ 1191-1196 წლებში მეჭურჭლეთუხუცესობა, როგორც აბულასანის მემკვიდრეობა მიუღია ჰერეთის ერისთავს ასათ გრიგოლის ძეს პროფესორ დავით მუსხელიშვილის აზრით აბულასანის შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესად უნდა ყოფილიყო ოვსიყმა, რომელიც გუნია-ყალის წარწერაშია მოხსენიებული (ამ წარწერას ქვემოთ საგანგებოდ განვიხილავთ). სარგის კაკაბაძეს აბულასანის მეჭურჭლეთუხუცესობა 1198-1205 წლამდე გადააქვს, **ხოლო მას შემდეგ იგი შალვა თორელს გულისხმობს ამ თანამდებობაზე. ისტორიკოს ნ. შოშიაშვილის აზრით აბულასანის შემცვლელი 1191 წლიდან 1205 წლამდე შალვა თორელი იყო, 1205 წლიდან 1220 წლამდე შოთა რუსთაველი, ხოლო 1220 წლიდან ყვარყვარე ჯაყელი-ციხისჯვრელი.**

ამ საკითხზე საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ზემოთ აღნიშნულ თავის ნაშრომში პროფესორმა შოთა მესხიამ. მისი ზრით აბულასანის შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესობა ყვარყვარე ჯაყელ-ციხისჯვრელს უნდა ჰქონოდა. ყვარყვარეს ეს თანამდებობა მართლაც დასადასტურებელია 1221 წლიდან.

თამაზ ჩიკვაიძე
(გაგრძელება იქნება).

პოეზიის კუთხე

იდღეგრძელე, ბალანთან!

მომენატრა, უნდა ვნახო
წყაროს წყლები ანკარა,
ჭალა დიდი, მინდორ-ველი,
მთა-გორებზე ცხვრის ფარა.
არწივების საბუდარი
ვაჟკაცობის მნახველი,
კონსტანტინე მელიქიძის
მშობელი და აღმზრდელი.
მადლიანო სალოცავო,
დალოცვილო ბალანთა,
იდღეგრძელე, იამაყე.
ბორჯომელმა სხვა რა ვთქვა!

თეიმურ მელიქიძე

P.S. **კონსტანტინე მელიქიძე გახლდათ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი და მეუფე, რომელიც დაიბადა და გაიზარდა სოფელ ბალანთაში.**

ჭადრაკი

მაინც წარმატებით ითამაშა

სექტემბერში ბათუმში გაიმართა 8,10,12 წლის ასაკის გოგონების და ვაჟების მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. მასში მონაწილეობას იღებდა მსოფლიოს 69 ქვეყნის 750-მდე მოზარდი მოჭადრაკე.

9-10 წლის გოგონებს შორის ბრძოლაში ჩაება 9 წლის ბორჯომელი მოსწავლე **ბარბარე შონია,** რომელსაც ევროპის პირველობაზე ბრონზაოს მედალი აქვს მოპოვებული.

ბარბარეს ჯგუფში 101 ნორჩი მოჭადრაკე ეპაექრებოდა ერთმანეთს. შეჯიბრება ჩატარდა შვეიცარიული სისტემით 11 ტურად.

სამწუხაროდ, ბარბარემ სტარტზე ორი პარტიის წაგებით დაიწყო თამაში, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა გამოასწორა. **სულ მოიგო 6 პარტია, 3 წააგო, 2 პარტია ყაიმით დაამთავრა.** 7 ქულით სხვებთან ერთად გაიყო მე-12-მე-20 ადგილი, მაგრამ კოეფიციენტით მე-20 ადგილზე აღმოჩნდა.

წარმატებული თამაშით ბარბარემ თავისი საჭადრაკო რეიტინგი 140 ქულით გაზარდა.

უ. ჯანგირაშვილი.

პატივი მიაგეს აფხაზეთის ომის გმირებს

27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა. ბორჯომის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გვირგვინთ შეამკეს აფხაზეთის ომის გმირების მემორიალი. დეკანოზმა **იოანემ (ხეცურიანი)** ომში დაღუპულთა სულების მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა.

აფხაზეთის ომს ათი ათასზე მეტი ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა, ასიათასობით ადამიანი კი იძულებული გახდა სახლ-კარი მიეტოვებინა და საკუთარ სამშობლოში დევნილად ქცეულიყო.

სწორედ 27 სექტემბერს, ტყვედ აიყვანეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ჟიული შარტავა,** ქალაქ სოხუმის მერი **გურამ გაბესკერია** და მინისტრთა საბჭოს თანამშრომლები, რომლებიც შემდგომ დახვრიტეს.

პატივს მივაგებთ დაღუპულთა ხსოვნას. ამ ადამიანებმა ჩვენს ქვეყანას ყველაზე ძვირფასი - საკუთარი სიცოცხლე შესწირეს. დღევანდელი დღე არის მაგალითი იმის, რომ ტკივილი არასდროს ნელდება,- განაცხადა **ოთარ არბოლიშვილმა.**

სოხუმის დაცემის დღის გამო და აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, ყველა ადმინისტრაციულ შენობაზე სახელმწიფო დროშები დაუშვეს.

სკვერს დაღუპული მემრბოლის სახელი მიენიჭა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით წაღვერში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე სკვერს **იოსებ მღებრიშვილის** სახელი მიენიჭა.

სკვერის გახსნაზე იმყოფებოდნენ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი**, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, **სოსო მღებრიშვილის** ოჯახის წევრები, მეგობრები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

1სოსო 992 წელს, აფხაზეთის ომის დაწყებისთანავე, აქტიურად ჩაება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში. იყო ათეულის მეთაური. თავის თანამებრძოლებთან ერთად არაერთ თავგანწირულ შეტაკებაში მიიღო მონაწილეობა.

დაიღუპა 1992 წლის დეკემბერში, გაგრის დაცვის დროს.

იოსებ მღებრიშვილს ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურების, თავდადებისა და თავგანწირვისთვის საქართველოს სახელმწიფო ჯილდო - ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი ქონდა მინიჭებული.

სამშობლოს შეწირულის გმირის ხსოვნა უკვდავია!

ბორჯომის სპორტსკოლა ჯანსაღი ცხოვრებისათვის

ფიზიკური აქტივობა მოსწავლეებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს მშობლებისათვის. XXI საუკუნის ინტერნეტ ლაბირინთებში ჩაკარგულ თაობას სჭირდებათ მეტი ფიზიკური მოძრაობა და ჯანსაღი ცხოვრების პირობების შექმნა. ამიტომ ჩვენ, მშობლებმა მათ უნდა შევთავაზოთ სმარტფონებისა და მობილურების ნაცვლად ალტერნატიული გზები. წელს გადაწყვეტილება ასე მივიღეთ. შვილს შევთავაზე სპორტ სკოლის გოგონათა კალათბურთის გუნდში რამდენიმე დღე მისულიყო, თუ მოეწონებოდა გაეგრძელებინა სიარული. პირველივე დღის დასასრულს დარბაზიდან ხელით მანშნა, რომ მოეწონა. მწვრთნელმა მთელი საათის განმავლობაში, რადგან ახალი მოსწავლე შეუერთდათ ინდივიდუალურად ავარჯიშა. დარბაზში კი გოგონები აქტიურად ვარჯიშობდნენ და მწვრთნელის მითითებებს ასრულებდნენ.

მამუკა ჩადუნელი და გიორგი ლურსმანაშვილი წლებია კალათბურთის თამაშის ოსტატობას ასწავლიან გოგონებსა და ვაჟებს. ამჯერად, 60-მდე მოსწავლე ეუფლება სპორტის ამ სახეობას სპორტსკოლაში სრულიად უფასოდ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით. მოსწავლეები ხშირად აუცილებლობის შემთხვევაში კვირაში სამჯერ, დღეში 2 საათიც კი ვარჯიშობენ და საქართველოს მასშტაბით შეჯიბრებებშიც იღებენ მონაწილეობას.

ჩვენთან საუბრისას მამუკა ჩადუნელმა განაცხადა, რომ ეს თაობა თითქოს მოდუნებულები არიან, რაც თანამედროვე ტექნოლოგიების გავლენის შედეგია.

- მათ კომპიუტერთან ნაკლები დრო უნდა გაატარონ, ხოლო მეგობრების გარემოცვაში დიდხანს იყვნენ. დავაინტერესოთ სპორტის სასურველი სახეობით და დატვირთოს თავისუფალი დრო ფიზიკური აქტივობით და ამით მიეცეს განტვირთვის შესაძლებლობა. მოსწავლეებს უძილობა აღებეჭდებათ სახეზე, ტექნოლოგიებზე მიჯაჭვულება უნდა შეიზღუდოს მაქსიმალური ოდენობით, წინააღმდეგ შემთხვევაში თანდათან უამრავი სირთულის გამოვლენას ველოდოთ.

მეტი დრო და შესაძლებლობები დავანახოთ შვილებს, ჯანსაღი ცხოვრების პირადი და საზოგადო მაგალითით. ბორჯომის სპორტსკოლა ჯანსაღი ცხოვრებსათვის ათეული წლებია ზრუნავს და დღესაც მოსწავლეების სამსახურშია.

იზა იანვარაშვილი

თავისუფალი ჭიდაობა

ელგუჯამ გვასახელა

26-27 სექტემბერს ქ. კასპში, სპორტკომპლექსის მრავალპროფილურ სასპორტო დარბაზში, ჩატარდა ყოფილი სსრკ პირველობის პრიზიორი, სპორტის ოსტატის **გიორგი დათაშვილის** (1974-20016.წ.) ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველი მემორიალური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში მოსწავლეთა შორის.

ორთაბრძოლები ორ ასაკობრივ ჯგუფის წარმომადგენელთა შორის, სულ 21 წონით კატეგორიაში გაიმართა და მასში მონაწილეობას იღებდა 205 მოჭიდავე თბილისიდან, აჭარიდან, ქუთაისიდან, გორიდან, ხაშურიდან, ქარელიდან, საგარეჯოდან, გარდაბნიდან და კასპიდან.

75 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა ხაშურის სპორტული სკოლის აღზრდილი, ახალდაბელი ფალავანი 14 წლის **ელგუჯა ლომიძე**.

ვულოცავთ ელგუჯას ტურნირში გამარჯვებას და ვუსურვებთ კიდევ მრავალჯერ გაეხარებინოს გულშემატკივრები და ლომიძეები ახალ-ახალი გამარჯვებებით.

„დახვრეტილთა სასაფლაო“

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDF)-ის და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ორგანიზებით ბორჯომის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა საჯარო ლექცია, რომლის მომხსენებელიც გახლდათ ისტორიკოსი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიმართულების ხელმძღვანელი ბატონი **ანტონ ვაქარაძე.** ბატონმა ანტონმა ლექციაზე მიმოიხილა 1937-1938 წლებში „დიდი ტერორის“ საკითხი, ასევე ისაუბრა დიდი რეპრესიების დროს დახვრეტილთა აღმოჩენილი სამარხების ისტორიის შესახებ, არსებული საკითხის შესწავლის ირგვლივ გადადგმულ ნაბიჯებზე და სამომავლო გეგმებზე. საჯარო ლექციის შემდეგ აუდიტორიას უჩვენეს „რადიო თავისუფლების“ მიერ გადაღებული ფილმი- „დახვრეტილთა სასაფლაო“. ფილმში ნაჩვენებია 1937-1938 წლებში დახვრეტილთა მასობრივი სამარხის გახსნის და ეგზჰუმაციის მიმდინარეობა, რომელშიც პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის წარმომადგენლები იყვნენ ჩართულნი. აღნიშნული ფილმის ჩვენების მიზანია, ადამიანებმა შეიტყონ მნიშვნელოვანი ტრავმული ეპოქის შესახებ, რასაც 1930-იანი წლების რეპრესიები წარმოადგენდა.

ნატო მელიქიძე.

გზავნილი ავთო მასნავლებელს...

ეძღვნება ანგარდაცვლილ ხელოვნების კედლებს, ავთანდილ პაპიძეს

თითქოს ახლა ყურიდან ყურში ისევ თქვენი ხმა მომესმის: ანი, ანი, ანი... მრავალჯერ იმეორებდით ჩემს სახელს ზოგჯერ იმდენჯერ, რომ გარეთაც კი ავლმოჩნდებოდი. პირველად ჩვენი საკლასო ოთახის კარის ზღურბლს რომ გადმოაბიჯეთ, მახსოვს ფანჯრისკენ, ბოლოს წინა მერხთან ვიჯექი. თავიდან, თითქოს გავოცდი, მერე რომ შეგეცანით, აღვფრთოვანდი. ბავშვები ფაცა-ფუცით ერთმანეთს ვწერდით ფურცლებზე: „ეს რა მაგარი კაციაო, რა მაგრად ხუმრობსო. მოგვეყარა თქვენი ხუმრობები - ზოგჯერ გულზე მალამოდ რომ მოგვედებოდა, ხანაც დაგვადუმებდა... არა, სიმართლე რომ ვთქვა, თავიდან კაკადუ რომ შემარქვეთმ მეც არ მოვიკლე სიცილი, მაგრამ დროთა განმავლობაში უკვე აღარ მსიამოვნებდა. თითქოს გულში რაღაც აუტანელს მაგრძნობინებდა. თქვენ მიმართაც შევიცვალე. ვიცი, რომ ჩემთვის კარგის მეტი არასდროს გადომებიათ, ამას ვგრძნობდი. ყოველ კუთხე-კუნჭულში აისახებოდა ქს. თქვენი წასვლის შემდეგ, ხელოვნების გაკვეთილის დრო რომ დადგებოდა, ყველაფერი ხალისს კარგავდა. ფანჯრიდან რომ გავიხედავდი, თითქოს მენი ჩამოვარდაო და პირდაპირ ჩვენს საკლასო ოთახში დაეცა, გააშავა ყველაფერი. თითოეული თქვენი (ჟარგონით) საუბარი სანატრელი გაგვიხდა. ადამიანს რომ შეეხედა, თქვენი დამოკიდებულება ბავშვებისადმი როგორი იყო, ვერ გაარჩევდა ზრდასრული კაცი გვესაუბრებოდა, თუ 13 წლის ბიჭი. შეგეძლოთ ჩვენთან თავის გატოლება... ისე, თქვენს მერე რომ ხელოვნების მასწავლებელი მოვიდა, გგავდათ. მასაც თქვენნაირად შეეძლო ჩვენთან ურთიერთობა: ბავშვური, თბილი ადამიანია, უბრალოდ მან ვერ შეძლო დიდხანს ჩვენთან ყოფნა. მას შემდეგ კიდევ ერთი მასწავლებელი... რომ არ დავმალო, ახალ მასწავლებელთან შეწყვეა გამიჭირდა. ყოველ გაკვეთილზე ვაქტიურობდი. მე ვყვებოდი გაკვეთილებს, თქვენ წარმოიდგინეთ, ნინის მაგიერადაც კი... როცა თქვენზე გავიგე, ემოციები ჰაერში ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ქაოსს ქმნიდნენ, თვალები ერთ ადგილას გამიშტერდა, ხელები გაიყინა. კაცს რომ შემოეჯდა, მაგვს ვერაფერს შეამჩნევდა, მაგრამ სულერად ასე იყო... თავზარი დამეცა. ყველგან თქვენზე საუბრობდნენ, ყველგან თქვენი ფოტოები, გოგონების ემოციები. მათი სევდა შორიდანაც შევიგრძენი. მიხვდებოდით, რომ მათი ყველაზე ნათელი წერტილი გაქრა, ჩაქრა... ვერ წარმოიდგინა ზამთრის არდადეგებიდან სკოლაში რომ დაბრუნდებოდი და თქვენს სახეს ველარ ვიხილავდი, ველარ დამიძახებდით, ველარ მეტყოდით „გეყოს ღლიცინ“, ველარ მიწოდებდით კაკადუს და ველარ გააცინებდით კლასს. მათ ხომ ხელოვნების გაკვეთილზე ჯერ ისე გულიანად არ გაუცინათ, როგორც თქვენ ახერხებდით ამას... მართლაც, ერთი წუთია ადამიანი... მართლაც, სანთელივითაა. მანამ უნდა დააფასო, დაინახო, სანამ ჯერ კიდევ არ ჩამქრალა. მოგვეყარებით ავთო მას...

ანი დათუაშვილი
წაღვერის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

წმ. მეფე დავით აღმაშენებლის ტაძრის დეკანოზი მამა არჩილი და მისი მრევლი ღრმა მწუხარებით იუწყება ჩვენი ტაძრის მესანთლე ქალბატონის

ია ნოზაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: **ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თეოდორე მღვდლის ქ. №57.**
borjomi@inbox.ru
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე